შ.პ.ს. “ ლედაკო ”

ვამტკიცებ შ.პ.ს. “ლედაკო”-ს დირექტორი


ლ. კუცია

საქმისპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ნ. ბუჩიძის ქ. №12 მდებარე პოლიკლინიკაზე მიშენების შესაძლებლობის შესახებ

თბილისი 2015 წ

ტექნიკური მდგომარეობის კვლევა წარმოებდა "საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს" მიერ 1992 წელს გამოცემული – "საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგოარეობის დადგენის ინსტრუქციისა" და СП-13-102-2003-ის "შენობებისა და ნაგებობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები"-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით.



სურ.1. მისაშენებელი ნაგებობის ადგილში
გაშიშვლებული საძირკვლები

არსებული ნაგებობა, რომელზედაც უნდა განხორციელდეს მიშენება, მდებარეობს სწორ ზედაპირზე. იგი წარმოადგენს ორ სართულიან შენობას აგურის მზიდი კედლებით, სართულშუა გადახურვები განხორციელებულია რკინაბეტონის ანაკრეფი ღრუტანიანი ფილებით.

ლებით, სართულშუა გადახურვები განხორციელებულია რკინაბეტონის ანაკრეფი ღრუტანიანი ფილებით.



სურ.2. არსებული ნაგებობის გაშიშვლებული საძირკვლები

უბანი, სადაც განლაგებულია შენობა, ხასიათდება შემდეგი მახასიათებლებით:

სეისმიურობა - 8 ბალი
ქარის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ2
თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ2

ჩატარებული გეოლოგიური დასკვნის მიხედვით ნაგებობა დაფუძნებულია თიხნარ გრუნ-ტზე, რომლის პირობითი საანგარიშო წინაღობა R0=2,0კგძ/სმ^2. დავალების თანახმად, არსებულ ორ სართულიან ნაგებობაზე, რომელშიც განთავსებულია პოლიკლინიკა, ერ-თი მხრიდან უნდა განხორციელდეს მიშენება. მიშენება წარმოადგენს კარკასულ ნაგებო-ბას, სამი მიწისზედა სართულითა და ერთი მიწისქვედა სარდაფით.

ვიზუალური დათვალიერებით, საექსპერტო ნაგებობაში მნიშვნელოვანი ბზარები ან დეფორმაციები არ შეინიშნება. ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მასზე შესაძლებელია განხორციელდეს ზემოთაღნიშნული რეკონსტრუქცია. ამისათვის საჭიროა დამუშავდეს პროექტის არქიტექტურული ნაწილის მიხედვით შესაბამისი კონსტრუქციული ნახაზები, და სამუშაოები განხორციელდეს დამუშავებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით.

იმისათვის, რომ მიშენების შედეგად არ დაზიანდეს არსებული ორ სართულიანი ნაგებობა უნდა დაკმაყოფილდეს სამშენებლო ნორმები და წესები - "შენობების და ნაგებობების ფუძეები " (ᲡᲜ 02.01.-08) მუხლი 11, პუნქტი 6. ან მიშენება იწარმოოს არსებული ნაგებობის საძირკვლების ეტაპობრივად, მონაზომებად დამუშავებით. ამ მხრივ შესაძლებელია არსებულ ნაგებობაზე უაყოფითად იმოქმედოს პროექტის გარეშე წარმოებულმა ქვაბულის დამუშავებამ (სურ. 1., სურ. 2). საჭიროა ქვაბულის დარჩენილი ნაწილის დამუშავება მოხდეს ეტაპობივად, ცალკეული მონაზომების მიხედვით, რომელიც აისახება პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, ნ. ბუაჩიძის ქ. №12 არსებულ პოლიკლინიკაზე შესაძლებელია მიშენების განხორციელება.

ამ მიზნით საჭიროა:

პროექტის არქიტექტურული ნაწილის მიხედვით შედგეს პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, სადაც გათვალისწინებული იქნება:

1. იმისათვის, რომ მიშენების შედეგად არ დაზიანდეს არსებული ორ სართულიანი ნაგებობა უნდა დაკმაყოფილდეს სამშენებლო ნორმები და წესები - "შენობების და ნაგებობების ფუძეები " (პნ 02.01.-08) მუხლი 11, პუნქტი 6; ან მიშენება იწარმოოს არსებული ნაგებობის საძირკვლების ეტაპობრივად, მონაზომებად დამუშავებით;
2. მიზანშეწონილია ახალი ნაგებობის საძირკვლებზე გადაეცეს არსებული შენობის დატვირთვის ნაწილი;
3. მიშენება გაანგარიშებული უნდა იქნეს 8 ბალიან სეისმიურ ზემოქმედებაზე.

ინჟინერ კონსტრუქტორი ლ. ზამბახიძე